ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6062321

ნომერი: AR1914522

თარიღი : 25.07.2022

გაცემის თარიღი : 01.08.2022

გაცნობის თარიღი : 02.08.2022

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი, N158;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ჭუმბურიძე პ/ნ 01030013137
- ლევან რჩეულიშვილის მე-2 ჩიხი #1

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022 წლის 25 ივლისს №AR1914522 განცხადებით მომართა გიორგი ჭუმბურიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2022 წლის 10 ივნისის №5975375 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება მშენებლობის ეტაპების მითითების ნაწილში. სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 10 ივნისის №5975375 ბრძანებით ქ. თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი №158-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.17.11.026.131), სამსახურის 2022 წლის 01 ივნისის №5962439 ბრძანებით შეთანხმებული სავაჭრო ცენტრის კორექტირებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე, გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2022 წლის 10 ივნისიდან 2024 წლის 10 ივნისის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად. სამსახურის 2022 წლის 21 ივნისის №5994819 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2022 წლის 10 ივნისის №5975375 ბრძანებაში მშენებლობის ვადის მითითების ნაწილში.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2022 წლის 10 ივნისის №5975375 ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტში და კალენდარულ გრაფიკში არასწორად მოხდა ეტაპების დაფიქსირება. კერძოდ, გამორჩენილია III ეტაპის დაფიქსირება. შესაბამისად, მოთხოვნილია აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ 2022 წლის 01 ივნისის №AR1902720 განცხადებაზე წარმოდგენილი საპროექტო ტერიტორიის ამსახველი ფოტოსურათების მიხედვით III ეტაპის სამუშაოები (მიწის სამუშაოები, ფუძის მოწყობის სამუშაოები, საძირკვლის მოწყობის სამუშაოები, ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა ნულოვან ნიშნულამდე და ნულოვანი ნიშნულის ზევით) უკვე დასრულებული იყო. აღნიშნულის მიხედვით, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ იქნა დარჩენილი სამუშაოების კალენდარული გრაფიკი. შესაბამისად, ზემოაღნიშნული ეტაპის სამუშაოები სამსახურის 2022 წლის 10 ივნისის №5975375 ბრძანებაში ვერ დაფიქსირდებოდა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან სამსახურის 2022 წლის 10 ივნისის №5975375 ბრძანების გაცემის დროისთვის III ეტაპის სამუშაოები (მიწის სამუშაოები, ფუძის მოწყობის სამუშაოები, საძირკვლის მოწყობის სამუშაოები, ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა ნულოვან ნიშნულამდე და ნულოვანი ნიშნულის ზევით) უკვე დასრულებული იყო, სამსახური მოკლებულია მოთხოვნის დაკმაყოფილების და მშენებლობის ეტაპების ნაწილში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესაძლებლობას.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.